სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/38

ქ. თბილისი 5 მარტი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის 2005 და 2006 წლების კურსდამთავრებულების მიერ კრედიტების ათვისების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის 2005 და 2006 წელს საბაკალავრო პროგრამის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც წარმატებით აქვთ გავლილი შენობების აზომვითი, გეოდეზიის საველე, გაცნობითი, საწარმოო, წინასადიპლომო ან სხვა პრაქტიკა და მიღებული აქვთ დადებითი შეფასება, თითოეული მათგანი ჩაეთვალოთ როგორც ათვისებული 5 UK კრედიტი პრაქტიკის ყოველი კვირისათვის და 5 UK კრედიტი პრაქტიკის ანგარიშის კამერალური დამუშავებისა და დაცვისათვის;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**